„ვამტკიცებ“

შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“

რექტორი, ლ. ტვილდიანი

ბრძანება №70 23 დეკემბერი 2017

დავითტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

თბილისი 2017

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში დტსუ) წინამდებარე წესით განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის შესაძლებლობასა და ვალდებულებას.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება დტსუ-ს მიერ მიიღება მხოლოდ სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით.
2. უნივერსიტეტი საკუთარ ვალდებულებად განსაზღვრავს ყველა პროგრამული ცვლილება განახორციელოს კურსდამთვრებულთა დასაქმების და/ან შემდგომი განათლებისთვის მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.
3. სტუდენტის მიერ ასეთის (პროგრამული ცვლილება, წინამდებარე დოკუმენტის #2-ით გათვალისწინებული) მიუღებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს იგი არჩევანით ქვემოთ ჩამოთვლილის (3.1.-3.2.) შესაბამისად:

3.1. სტუდენტის მიმდინარე (არსებული, რომელშიც ირიცხებოდა) პროგრამით სწავლის დასრულების შესაძლებლობა

3.2. სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში მობილობის ხელშეწყობა:

ა) დროული ინფორმირებით - სტუდენტის მიერ არჩევანისთვის საჭირო გონივრული ვადის არსებობის უზრუნველყოფით;

ბ) მიმღები უნივერსიტეტისთვის სტუდენტის მიერ დტსუ-ში მიღებული განათლების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის დროული მიწოდებით;

4. უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ სტუდენტთა ინტერესების დაცვის გარანტიით.
5. საგანმანათლებლო პროგრამის დტსუ-ს ინიციატივით გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის პროცესი წარმართოს სტუდენტთა არჩევანის გათვალისწინებით ქვემოთ ჩამოთვლილის (5.1.-5.4.) შესაბამისად:

5.1. სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დროული ინფორმირება მათი (სტუდენტთა) დახმარებისთვის ცენტრის მხრიდან საჭირო ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

5.2. სტუდენტს ეძლევა მიმდინარე (არსებული, რომელშიც ირიცხებოდა) პროგრამით

სწავლის დასრულების შესაძლებლობა;

5.3. სტუდენტს ეძლევა დტსუ-ს სხვა მიმდინარე პროგრამაზე გადასვლის შესაძლებლობა;

5.4. სტუდენტთა სხვა უნივერსიტეტში მობილობის ხელშეწყობა:

ა) დროული ინფორმირებით - სტუდენტის მიერ არჩევანისთვის საჭირო გონივრული ვადის არსებობის უზრუნველყოფით;

ბ) სხვა ანალოგიურ პროგრამათა მიმწოდებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე არჩევანის შეთავაზების შესაძლებლობით;

გ) სტუდენტის არჩევანის მიხედვით, მიმღები უნივერსიტეტისთვის სტუდენტის მიერ დტსუ-ში მიღებული განათლების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის დროული მიწოდებით;

6. სხვა შემთხვევაში (არა საკუთარი ინიციატივით) პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დტსუ იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით; კერძოდ,

6.1. სტუდენტს მისცემს სხვა მიმდინარე პროგრამის ფარგლებში სწავლის დასრულების საშუალებას;

6.2. სტუდენტის არჩევანის შესაბამისად ხელს შეუწყობს სხვა (მსგავსი პროფილისა და პროგრამის მქონე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლას.

7. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დტსუ ითანამშრომლებს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან“ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით მის (ცენტრი) მიერ სტუდენტებთან მიმართებაში გასატარებელი ღონისძიებების ხელშესაწყობად.